მანანა ბოჭორიშვილი

პერცეპტუალური დასწავლა და პედაგოგიური პრაქტიკა

პრაქტიკოსი პედაგოგები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ **დადგა დრო, ვიმსჯელოთ არა თეორიულ პედაგოგიკაზე, არამედ პედაგოგიურ პრაქტიკაზე**, ამისთვის კი მნიშვნელოვანია განვიხილოთ პედაგოგის კონკრეტულ აქტივობათა დაგეგმვისა და განხორციელების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.
პედაგოგის სწავლების მეთოდიკა კონკრეტული კლასისთვის მაქსიმალურად ეფექტური სწავლების მეთოდების შერჩევისკენაა მიმართული. ხშირად პრაქტიკოსი მასწავლებლები ორ პარალელურ კლასშიც კი ერთი და იმავე საგაკვეთილო მასალის სწავლებისას, კლასის საჭიროებიდან გამომდინარე, სრულიად სხვადასხვა მიდგომებსა და მეთოდებს იყენებენ.
სასკოლო სახელმძღვანელოები შედგება გაკვეთილებისაგან/პარაგრაფებისაგან, რომლებიც შეიცავს:
* **ტექსტებს,** რომლებიც მოსწავლისთვის კონცეპტუალური/სტატიკური ცოდნის მიწოდებაზეა ორიენტირებული;
* **სავარჯიშოებს,** რომლებიც ხელს უწყობს კონცეპტუალური/სტატიკური ცოდნის დინამიკურად გარდაქმნას, ანუ იმას, რომ მოსწავლემ გაიაზროს კონცეპტუალური საკითხები, შეძლოს ათვისებული ცოდნის გამოყენება, ვარჯიშით განივითაროს საჭირო უნარები დაა.შ;
* **ილუსტრაციებს,** რომლებიც ეხმარება მოსწავლეს ტექსტის გააზრებაში, სავარჯიშოს შესრულებაში.



სახელმძღვანელო არ არის ერთადერთი რესურსი, საიდანაც მოსწავლე ინფორმაციას იღებს. ცნობილია, რომ ადამიანების ცოდნისა და გამოცდილების დიდი ნაწილი

გარემოდან მიღებულ მხედველობით ინფორმაციას ეფუძნება. ამიტომ არის, რომ დღემდე ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანად მიიჩნევა იმ მექანიზმების შესწავლა, რომლებიც საფუძვლად უდევს მხედველობითი აღქმის პროცესებს. სწორედ მათზე დაყრდნობით იქმნება **პერცეპტუალური წარმოდგენა გარე სამყაროში არსებული ობიექტებისა და მოვლენების შესახებ.** ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ინფორმაციული გადატვირთვის პირობებში, კინოს, ტელევიზიის, კომპიუტერული ტექნიკისა და სხვადასხვა ტიპის დისპლეების ფართოდ გავრცელებამ შეცვალა ინფორმაციის მიწოდების მეთოდები და დროის ერთეულში დასამუშავებელი ინფორმაციის რაოდენობა. ამიტომაც დგას დღეს ასე მწვავედ ინფორმაციული ნაკადების შესაძლო მინიმიზაციისა და ოპტიმალური ორგანიზაციის პრობლემა.

ადამიანის მუდმივ სენსორულ სისტემებს შორის დომინანტური ადგილი დღეს მხედველობით სისტემას უკავია. ინფორმაციის დაახლოებით 80% სწორედ მხედველობის საშუალებით შემოდის ადამიანის თავის ტვინში (**Глезер, 1985**) და თავის ტვინის ქერქის 30% ამ ინფორმაციის მიღება-დამუშავებას ემსახურება (**Chalupa& Werner, 2003**). მხედველობითი ინფორმაცია გროვდება გრძელვადიან მეხსიერებაში; აქ იქმნება რეალურ ობიექტთან მეტ-ნაკლებად მიმსგავსებული სუბიექტური წარმოდგენები, რომლებსაც ადამიანი მოქმედებისა და აზროვნების საფუძვლად იყენებს.
ვინაიდან დღეს მოსწავლისთვის სასკოლო სახელმძღვანელო ინფორმაციის ერთადერთი წყარო არ არის და მას უამრავი ინფორმაცია აქვს ამა თუ იმ საკითხის შესახებ, შესაძლოა, სახელმძღვანელოში მოცემული ილუსტრაცია მისთვის სიახლე არ აღმოჩნდეს ან დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოსწავლეს ინტერნეტრესურსების მოძიება დაევალოს.
ფაქტია, მოსწავლის მხედველობითმა სისტემამ უნდა შეძლოს და დროის ერთეულში მიღებული, არაოპტიმალურად ორგანიზებული ინფორმაციის უზარმაზარი მასივებიდან გამოყოს მხოლოდ ამ მომენტისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.
ამის ფონზე ნათლად იკვეთება სასწავლო პროცესში **ვიზუალური მასალის, თვალსაჩინოების** გამოყენების მეთოდიკის მნიშვნელობა.
თვალსაჩინოებებზე მუშაობა სწავლების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და მოსწავლეებს პერცეპტუალური დასწავლის - ვიზუალური ინფორმაციის აღქმისა და გააზრების საშუალებას აძლევს. ინფორმაციის მოძიება/ათვისება/გადმოცემის მიზნით შექმნილი თვალსაჩინოებები (ილუსტრაციები, ფოტოები, რუკები, არტეფაქტები და სხვ.) ფართოდ გამოიყენება განათლების ყველა საფეხურზე. ამ მიდგომით უვითარდება ბავშვს ვიზუალური უნარები, ის იგებს, რომ შეიძლება არა მარტო ტექსტის, არამედ ფოტო, სქემისა და რუკის წაკითხვაც და აცნობიერებს, რომ ნებისმიერი ვიზუალური მასალა ძვირფასი წყაროა საკითხის გასაგებად.
ამიტომ არის, რომ **მასწავლებელმა უნდა გააანალიზოს სახელმძღვანელოში მოცემული ყოველი გაკვეთილი და გაიაზროს, რა სახის ინფორმაცია გახდის გაკვეთილს უფრო საინტერესოს, რა შეუწყობს ხელს თემის სხვადასხვა პერსპექტივიდან შესწავლას.**
გაკვეთილისთვის ამა თუ იმ თვალსაჩინოების არჩევისას უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ინტერესები, კერძოდ:
* შეუწყობს თუ არა ხელს ამ კონკრეტული თვალსაჩინოების გამოყენება სწავლის მოტივაციის ამაღლებას;
* შეძლებენ თუ არა მოსწავლეები ამ რესურსის სათანადოდ გამოყენებას;

* რა საბაზისო უნარ-ჩვევები აქვთ მათ და რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გამოსაყენებელი თვალსაჩინოება.
მაგალითად, საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მნიშვნელოვანი ყურადღება სწორედ რუკის გამოყენებისა და შექმნის სწავლებას ეთმობა. რუკა უნივერსალური ენაა, რომლის შესწავლის ელემენტებსაც, ბუნებრივია, დაწყებით საფეხურზე ეყრება საფუძველი. **რუკებთან მუშაობის დაწყებისას** მასწავლებელმა თვალყური უნდა ადევნოს მოსწავლეთა პროგრესს და ნაბიჯ-ნაბიჯ გადავიდეს ერთი ელემენტიდან მეორეზე.
გეოგრაფებისთვის რუკა უმთავრესი სასწავლო რესურსია, თუმცა ისტორიისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

	რუკაზე ნაჩვენებია იუთუბის ბლოკირების სტატუსი. ქვეყნები, რომლებშიც იუთუბი კვლავ დაბლოკილია, მონიშნულია **წითელი** ფერით. **იასამნისფრად** არის გაფერადებული ქვეყნები, სადაც ვებგვერდზე წვდომა შეზღდულია, **მწვანედ** - ქვეყნები, რომელთაც იუთუბის საკუთარი ვერსია აქვთ, ხოლო **ვარდისფრად** - ქვეყნები, რომლებშიც ის ოდესმე დაუბლოკავთ.

რუკა ასწავლის მოსწავლეს სივრცესა და დროში მოვლენების დანახვას, ე.ი. ეხმარება მას, წარმოადგინოს, აღწეროს, ახსნას სივრცითი ინფორმაცია, კანონზომიერებები თუ პროცესები. რუკის კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებას ხელს უწყობს კონტურული რუკების შევსებაც.
რაც შეეხება საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლას, ამ დროს წერილობითი წყაროები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვალსაჩინოებაა. მათზე მუშაობა მოსწავლეს აჩვევს არასტანდარტული ტექსტების კითხვას, ამდიდრებს მის ლექსიკურ მარაგს, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
წერილობით წყაროებთან მუშაობისას საჭიროა რამდენიმე მეთოდური ნიუანსის გათვალისწინება. უპირველესად, წყაროზე მუშაობა რამდენიმე ეტაპად უნდა დავყოთ:
1. თავდაპირველად მოსწავლეებს ტექსტის ზედაპირული დათვალიერება უნდა ვთხოვოთ. სასურველია, დავავალოთ ტექსტიდან პერსონალიების, თარიღებისა და სხვა ამგვარი, ადვილად აღსაქმელი ინფორმაციის გამოცალკევება და ამოწერა;
2. მომდევნო ეტაპზე მოსწავლეებს ძირითადად აღარ აშინებთ ტექსტის სირთულე და უკვე მზად არიან უფრო რთულ აქტივობათა შესასრულებლად. ამ დროს საჭიროა, ტექსტი აზრობრივ აბზაცებად და სტროფებად დავყოთ;
3. ამის შემდეგ კარგი იქნება, მიმოვიხილოთ ასეთი აზრობრივი ერთეულები, დავასათაუროთ კიდეც და საჯაროდ გავაანალიზოთ მათი შინაარსი.



წარწერა მდებარეობს ბოლნისს სიონის აღმოსავლეთ კედელზე, საკურთხეველის სარკმლის თავზე, გარედან, მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვრის გარშემო, და ასე იკითხება: **„ქრისტე დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თაჳყანისმცემელნი შეიწყალენ და მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხეწიე ი ი“.**

საჭიროებისას მასწავლებელმა ნებისმიერი თვალსაჩინო ფოტო შეიძლება მნიშვნელოვან სასწავლო რესურსად აქციოს. **ფოტოების საშუალებით იგი საკლასო ოთახში მცირეოდენ „რეალობას“ შეიტანს** - მათზე ხომ ჩვენ ირგვლივ არსებული ობიექტები, მოვლენები, ადგილები თუ ადამიანებია აღბეჭდილი.
სახელმძღვანელო თუ სხვა გამოცემა ხშირად შეიცავს ისეთ ილუსტრაციებსა და ფოტოებს, რომლებსაც მასწავლებელი აქტივობათა გასამრავალფეროვნებლად იყენებს. მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს მათი ინტერპრეტირებაც ასწავლოს.

დედამიწის ამოსვლა

ფოტო გადაღებულია მთვარიდან კოსმონავტ უილიამ ანდერსის მიერ „Apollo 8“-ის მისიის დროს, 1968 წლის 24 დეკემბერს, და პირველია, რომელზეც სრულად ჩანს კოსმოსიდან დანახული დედამიწა. მისი მეშვეობით უამრავმა ადამიანმა იხილა, რა ლამაზია ჩვენი მშობლიური პლანეტა.

მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს გარკვეული სტრატეგიები, გაითვალისწინოს, რომ ფოტოზე ასახულის შესახებ შესაძლოა არსებობდეს ალტერნატიული მოსაზრებები და გამართლებული იყოს დისკუსიის გამართვა. **კარგად შერჩეულ ფოტოს შეუძლია,**

მოსწავლეებს თანაგანცდა განუვითაროს, ხელი შეუწყოს სწორი დამოკიდებულებებისა და ფასეულობების გამომუშავებას.
არსებობს უნივერსალური კითხვები, რომელთა დასმაც თითქმის ყველა ფოტოს შესახებ შეიძლება. ამგვარი კითხვები მოსწავლეებს საჭირო ნიუანსებზე ამახვილებინებს ყურადღებას და უფრო ღრმა დაკვირვების საშუალებას აძლევს, ვიდრე ზედაპირზე არსებული ინფორმაცია.

*** რას ხედავ?**
*** რას გრძნობ?**
*** როგორი ცვლილებები განიცადა ფოტოზე ასახულმა გარემომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში?**
*** როგორი იქნება ეს გარემო 10 წლის შემდეგ?**
*** შეიძლება თუ არა, არსებობდეს განსხვავებული აზრი ამ ხედზე?**
და ა.შ.

ფოტოების ანალიზისას რჩება ინფორმაცია, რომელსაც მოსწავლე ვერ ივარაუდებს. ასეთ დროს, სასურველია, ჩამოიწეროს კითხვები, რომლებზეც პასუხი მოსწავლეს საშუალებას მისცემდა, უფრო სიღრმისეული გაეხადა ანალიზი.
საკითხის უკეთ გასაშლელად და გასააზრებლად მასწავლებელს შეიძლება ჰქონდეს ფოტოკოლექცია სხვადასხვა თემაზე. კოლექციის შეგროვებაში მოსწავლეებსაც აქვთ მონაწილეობის უფლება, რაც ამაღლებს მათ თვითშეფასებას

პერცეპტუალური დასწავლის ფენომენმა განსაკუთრებული ინტერესი მას შემდეგ გამოიწვია, რაც იგი დაუკავშირეს პერცეპტუალური ხატის შექმნის პროცესებს (**Walsh, & Booth, 1997).** მიიჩნევენ, რომ პერცეპტუალური დასწავლა აღქმის გაუმჯობესების უნარია, რადგან მისი საშუალებით იქმნება აღქმისთვის საჭირო „სამშენებლო ბლოკები“. **ჩვენ სამყაროს ისე აღვიქვამთ, როგორც გვაქვს ნასწავლი მისი დანახვა.**